

აფრიკატიზაცია თანამედროვე ქართულ ენაში
(ფონეტიკური პროცესის კომპიუტერული ანალიზი)

ანა ჩაგუნავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების შესაბამისად*

პროგრამა: გამოყენებითი ენათმეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირინა ლოზჟანიძე
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ჩაგუნავა _____ 29 /06/2017

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია აფრიკატიზაციის პროცესი თანამედროვე ქართულ ენაში. აღწერილია ფონეტიკური პროცესის გამომწვევი მიზეზები და პირობები. მოცემულია კვლევის შედეგად წარმოჩენილი შესაძლო მახასიათებლები, რომლებიც დღევანდელ მეტყველებაში იჩენს თავს. განხილულია საკითხის შესახებ სხვადასხვა მეცნიერის განსხვავებული თეორიები. კვლევით ნაწილში წარმოდგენილია ცოცხალ მეტყველებაში გამოვლენილი აფრიკატიზაციის პროცესის მაგალითები. მოცემულია ფონეტიკური პროცესის კომპიუტერული ანალიზი და მის საფუძველზე გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

ნაშრომში განხილული თემა აქტუალურია ლინგვისტიკისა და კრიმინალური ექსპერტიზისათვის, სადაც აკვირდებიან მეტყველებას თანამედროვე სოციუმში და იკვლევენ ამა თუ იმ სამეტყველო ქმედების გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებს. ენის მუდმივი განვითარებისა და ცვლილების გამო აუცილებელია მასზე აქტიური დაკვირვება და აღწერა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ფონეტიკა, ფონოლოგია, აფრიკატი, აფრიკატიზაცია, ფონეტიკური პროცესები.